ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 27 № 157

ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 27 № 157

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

გაზეთთ მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში [illegible] უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч. ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ღრმათ დამწუხრებული შვილები: ეკატერინე ერმალოს ასული ნიჟარაძე, ნინა ერმალოს ასული ლორთქიფანიძისა, სიძე სევერიანე გიორგის ძე ლორთქიფანიძე და შვილი-შვილები: დევი, ანიკო და მერი აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ უეცრად გარდაცვალებულის

**კნ. ოლღა დიმიტრის ასულის ნიჟარაძის**

სულის მოსახსენებლად ქუთაისის მეტრე-პავლეს ტაძარში ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, (ძვ. სტ.) გადახდილ იქნება ორი კვირის წირვა და პანაშვიდი. 1—1

**კბილის ექიმები**

**მ. ი. ახვლედიანი და ო. დ. პროშლიაკოვა**

ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს. და საღამოს 5 ს.—7 ... მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

**ექიმი**

**გ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6-დან 8-დე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

**იყიდება** სამხატვრო ყუთი ნიგვზის ხისაგან გაკეთებული. საღებავები, კისტები და სხვა სამხატვრო მოწყობილობები. იკითხეთ „ჩვ. ქვეყნის" რედაქციაში.

**Продается** ящик для художника из орѣховаго дерева, краски, кисти и различныя художественныя принадлежности, справляться в редакцію газеты „Чвени Квекана".

**იყიდება** ორი რკინის საწოლი, შირმა, შკაფი, კედლის საათი და სხვანი. იკითხეთ ლორთქიფანიძის ბინა, ორპირის ქუჩაზე. გ—ბ

**Германскіе офицера**

ищутъ хорошо меблированные комнаты за хорошее вознагражденіе. Предложенія, какъ можно скорѣе адресовать, или лично переговорить въ канцеляріи 9-го Эгерскаго баталіона, гостинница „Паллась-Отель", бывшая контора „Проводника".

**გერმანელი ოფიცრები**

ეძებენ კარგად მოწყობილ ოთახებს. მპოვნელს მიეცემა კარგი ჯილდო. მოლაპარაკება პირადათ ან-და წერილობით შეიძლება მე-9-ე ეგერის ბატალიონის (რომელიც იმყოფება სასტუმრო „პალასში", ყოფილ პროვოდნიკის კანტორაში) კანცელარიაში. 1—1

**იყიდება** ერთი ცხენი ქართველ ცხენოსანთა მეორე პოლკისა, წითელი ფერისა, 7 წლისა. პირობების გაგება შეიძლება პოლკის შტაბში ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე, ყოფილ ხაზინის პალატის სადგომში. 3—2

## ქუთაისი 25 აგვისტო.

**შეცდომა უნდა გასწორდეს.**

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის ორი უმთავრესი პირობა იყო აუცილებელი: საიმედო სამხედრო ძალის შექმნა და სახელმწიფო ფინანსების სალ ნიადაგზე დაყენება. ჩვენი მთავრობა უნდა ცდილიყო უსაჭიროესი პირობების მოწყობა პირველ რიგში ჩამოეყენებია და თავის სახელმწიფოებრივი პროგრამის უმთავრეს მუხლად ექცია.

სამხედრო ძალის შექმნა მეტად ძნელი იყო ჩვენ[illegible], რადგან ხალხის სულიერი განწყობილება მეტად ამღვრეულია და ვინემ არსებულ ჯარში ყოფილი მეომრის და მისგან აზროვნება შეცვლილი მეზობლის სახე გასწორდებოდეს, სალსა და ნამდვილ ჯარზე ლაპარაკი ზედმეტია, ახე რომ სამხედრო მინისტრსა და მის მრჩეველებს შემოქმედებითი ნიჭიც რომ ჰქონოდესთ, თავისი დანიშნულების შესრულება მაინც გაუჭირდებოდათ. ამიტომ მათი პროგრამა ძლიერ დავიწროვდა და მათგან ამოძრავებული ჯარი გარეშე მტერს კი არა შინაურ ანარქიას და ახლად გამოჩეკილ ავაზაკებს, რომ შეზღუდავდეს, ისიც კმარა, მაგრამ საუბედუროდ ამასაც ვერ ვხედავთ.

სულ სხვა საქმეა ფინანსები და სახელმწიფო მამულების პატრონობა. საქართველოს ბევრი ისეთი თვალსაჩინო ქონება აქვს და ბევრი ისეთი ქვეყნისთვის საჭირო ნივთიერების ბუდეა, რომ მას ყოველთვის შეუძლია შინაური სესხიც გაანაღდოს და გარეულიც, მაგალითად: მარგ[illegible]ვი ქვა, წყლები, მთები და სხვა. ასეთი ქონების პატრონი ქვეყანა კარგი ხელმძღვანელების ხელში ნივთიერათ უკან არ ჩამორჩება.

სამწუხაროთ ჩვენი მთავრობის ნაბიჯები ამ შემთხვევაში საიმედო არ არის; შინაური სახელმწიფოებრივი ქონების მოხმარების გეგმა ჯერჯერობით სუსტია. ავიღოთ თუნდა ერთი მაგალითი — ბორჯომის წყლის საქმე.

საქართველოს ხელში დარჩა მშვენიერათ მოწყობილი ბორჯომის მამული, სადაც წყლის წარმოება გაჩაღებული იყო. მთავრობის მოვალეობა იყო ამ საქმის წარმოება განეგრძო სასარგებლო წესით — ისეთი წესით, რომ მოთხოვნილებაც დიდ[illegible] ყოფილიყო და დაკმაყოფილებაც.

მთავრობას უნდა მოეწყო სოჯახო წესით გამგებლობა თავის სასტიკი კონტროლის ქვეშ. მთავრობამ სხვა გზა აირჩია, ამ საქმეში პატრონსა და მუშტარს შორის კიდევ მესამე პირი ჩააყენა — კონტრაგენტი. რა საჭირო იყო ეს მესამე პირი შუაზე ჩაყენებული?

ვისთვის არის სასარგებლო ის მესამე პირი? ეჭვს გარეშე, რომ თუ მთავრობის [illegible]მართველი თვითონ პირდაპირ მიაწვდიდა წყალს მომხმარებელს, წყალი უფრო იაფი იქნებოდა და მოთხოვნილებაც მეტი იქნებოდა, სახელმწიფოც ისარგებლებდა და ხალხიც მადლიერი დარჩებოდა.

დღევანდელ წესზე დაყენებული ეს საქმე სულ სხვა სურათს წარმოადგენს. გაიცა ეს მამული რაღაც ჩუმათ, უხმაუროთ კონკურენცია საქმეში არ შეჰქონდა; კონტრაგენტი დაინტერესებულია თავისი ინტერესი დაიცვას და ამით სახელმწიფო და ხალხი დაზარალდება ან ორივე ან ერთი მაინც. კონტრაგენტის ხელში ამ წყაროს გადასვლა უკვე გულისხმობს წყალზე ფასის აწევას და ხალხის ინტერესის დაჩაგვრას.

თუ ასეთი წესით დადგა მთების დამუშავება, შეშის დამზადება, და სხვა, უნდა ვიფიქროთ, რომ სპეკულიაციას მთავრობის პროგრამა დიდათ ვერ გასცილდების წინ და ხალხი ისევ დაჩაგრული იქნება, ღარიბი ხალხი ისევ მოკლებული იქნება იმას, რასაც იმედითაც მას აქამდი ვასაზრდოებდით.

ეს შეცდომა მთავრობას არ უნდა ექნა, მეტადრე სოციალისტურს, რომლის დანიშნულება და პროგრამული რეკლამა [illegible] და სხვა. მსხვილი კონტრაგენტების თარეში სახელმწიფო ქონების წარმოებაში მას არა მშვენის და მის პროგრამას კიდეც ეწინააღმდეგება, თუდა არის დღეს ან პროგრამის გარჩევა და ან ნათქვამის ყურის გდება.

ასეთი გზა მთავრობას სახელს გაუტეხს და ახალგაზრდა სახელმწიფოს დაახარალებს.

შეცდომა უნდა გასწორდეს

## ეროვნული უმცირესობანი საქართველოს პარლამენტში.

ერთ ერთ სადღეისო კითხვად საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დღევანდელ კითხვა. ჩვენს პარლამენტში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა.

ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, თუ რამდენად დროის შესაფერისი და მიზანშეწონილია აღძრული კითხვის გარდაწყვეტა მიმდინარე მომენტში. ყოველ შემთხვევაში, რაკი ფაქტის წინაშე ვდგევართ, მას ანგარიშსაც ვუწევთ.

კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნულ ერთეულთა შორის, ქართულ ერთეული ყველაზე მეტს იმედებს იძლევა იმისას, რომ იგი შეძლებს მისცეს თვის სახელმწიფოებრივობასა და დამოუკიდებლობას ნამდვილი, მტკიცე და ევროპიული ფიზიონომია. მიზეზები ამისა მრავალია; მკაფიოდ შემოხაზული ტერიტორია ეროვნული „მე"-ობის მძაფრად გამოსახვა, ისტორიული წარსულის (არა თუ შორეულის, ახლოსაც) სიმდიდრე, კულტურული სიძლიერე, სახელმწიფოებრივი ტრადიციები და სხვა. ამიტომაც შეჩერდა ევროპის უკეთესი სახელმწიფოს, გერმანეთის ყურადღების ცენტრი საქართველოზე. ამასვე ვერ ვიტყვით ადერბეიჯანზე და არარატის რესპუბლიკაზე. ამათი ჯერ კიდევ მომავალი უწყის რა ფორმაში ჩამოყალიბდება. საქართველოს დამოუკიდებლობის სიმტკიცეზე კი ეჭვის მიტანაც უძნელდებათ ობიექტიურ მოაზროვნეთ და პოლიტიკურ ცვალებადობის მეთვალყურეთ. ამიტომ ილაშქრებენ კიდეც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ველიკორუსულ დიდ მპყრობელობით დასნეულებული რუსები, მათი ლაქია სომხები და დანარჩენი სხვისი კუთილის მოყვარენი.

ეს ეროვნული უმცირესობანი მოსახლეობენ დღეს საქართველოში და რაც უფრო დანახსირათებულია, ესენი უფრო მოითხოვენ დაჩქარებით წარმომადგენლობას ჩვენს პარლამენტებში.

საინტერესოა ვიკითხოთ — რატომ? მით უმეტეს, რომ მათი ქვეშევრდომობის საკითხი ჯერაც კითხვით ნიშნის ქვეშ იმყოფება.

საქართველოს პარლამენტს მეტის მეტად დიდმნიშვნელოვანი და სერიოზული სახელმწიფოებრივი საქმეები აქვს გასაკეთებელი, რომელთა შორის საგარეო პოლიტიკა არ სცილდება პარლამენტის ოთხ კედელს. ასეთ საპასუხისმგებლო და გარდამავალ ხანაში ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ხომ ჩვენი დამოუკიდებლობის კითხვასაც სწყვეტს.

ამიტომ ადვილი გასაგებია რუსებისა და სომხების განგაში, ატეხილი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კითხვის გარშემო. მათ ჯერაც ვერ შეუთვისებიათ, რომ ბაბოვ-ხატისოვებისა და ლებედევების „ოპეკას" საბოლოოდ დაახწია ქართველმა ერმა თავი და ამიტომ კვლავ ფიქრობენ შემოიჭრან ჩვენს სულში და გულში.

მაგრამ ქართველ ერს ეს არ შეაშინებს დღეს, მოვიდნენ, მხოლოდ ჩვენმა მთავრობამ გადაჭრით უნდა მოსთხოვოს მათ, რათა თავი დაანებონ საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან ბრძოლას და შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რიგს გარეშე მიანდოს მიწადმოქმედების სამინისტროს მიწის რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო თანხა გამოსძებნოს ამ საქმისათვის გადადებულ 1,250,000 მანეთის კრედიტიდან.

—მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა შეძენილ პურით პირველყოვლისა დააკმაყოფილონ ჯარი, შემდეგ მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურენი, დამშეული ადგილები და ბოლოს სხვები.

— სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: სამხედრო მინისტრს დაევალოს მოახდინოს სამხედრო გიმნაზიის ლიკვიდაცია და მიეცეს ამისათვის საჭირო თანხა.

— განათლების მინისტრის მოხსენება ქართველებისა და არა ქართველების შორის გიმნაზიების განაწილების შესახებ მოწონებული იქნა და მიენდო მას მიიღოს ზომები, რომ გიმნაზიის შენახვა მისივე შემოსავლით იფარებოდეს.

— მოწონებულ იქნა მთავრობის მიერ კანონ-პროექტი სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

— მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა მიწადმოქმედების მინისტრს მიენდოს შეშის დაგროვების საქმე. შეშა დამზადებულ იქნას სხვადასხვა ადგილებში, რაშიაც დაიხმარებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც ნაწილი ფულად მიეცემათ, ხოლო ნაწილი საჭირო საქონლით და ნივთებით.

— შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გერ. მახარაძე დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

## პარლამენტის გარშემო.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარედგინა განსახილველად შემდეგი კანონ-პროექტები:

1. სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაერთიანების შესახებ.

ამ კანონპროექტით უნდა დაიხუროს თბილისის ინსტიტუტთან და გორის სემინარიასთან არსებული ეროვნული განყოფილებები. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები ქართულ ეროვნულ სასწავლებლებად გამოცხადდება, ხოლო უკანასკნელში აფხაზური განყოფილება გაიხსნება. ამ განყოფილებას ცალკე კრედიტი გაეხსნება.

2. სამოსამართლო ბოქაულთა და გზირთა გასამრჯელო ნიხრის ერთი სამად გადიდების შესახებ.

3. ეროვნული საბჭოს წევრების და მოხელეობის შეუთვისებლობის შესახებ.

ეროვნულ საბჭოს წევრობის ნება არა აქვს იმ თანამდებობის პირს, რომელიც სახელმწიფო-სამოქალაქო სასამართლოში იმყოფება და სახელმწიფო თანხიდან იღებს ჯამაგირს, გამონაკლისს შეადგენენ: მინისტრები, მათი ამხანაგები და უნივერსიტეტის კორპორაციის მიერ პროფესორებად არჩეულნი. სახელმწიფო სამსახურში შეუძლიათ ეროვნულ საბჭოს წევრად დარჩენ თუ 15 დღის განმავლობაში სამსახურზე უარს განაცხადებენ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამანდატო კომისიამ შეიმუშავა საქართველოში მცხოვრებ ეროვნებათა მხრით ასარჩევ ეროვნულ საბჭოს წევრთა რიცხვი. სომხებს ეყოლებათ 10 წარმომადგენელი, აფხაზებს 5, თათრებს 4, რუსებს 3, ოსებს 2, ებრაელებს 2, ადგილობრივ გერმანელებს 1. წარმომადგენლები უნდა აირჩიონ ეროვნულმა საბჭოებმა, ხოლო თუ რომელიმე ერს საბჭო არა აქვს მაშინ პოლიტიკურმა პარტიებმა ურთიერთის შეთანხმებით.

## ოსმალთა თავდასხმა ახალ-ათონზე.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს სუხუმის ოლქიდან ატყობინებენ, რომ ასკერების რაზმები თავს დაესხნენ სახალხო გვარდიის ნაწილს, რომელიც სდგას ახალ-ათონში. საჩქაროთ მივიღეთ დახმარება და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ოსმალები გავფანტეთ. ჩვენი მხრით მოკლულია 7, დაჭრილია 14. დაჭრილთა რიცხვშია ტუმარკინი და შტ. კაპ. ჯუღელი—ძმა თბილისის სახალხო გვარდიის უფროსისა. ოსმალებმა ბრძოლის ადგილზე დასტოვეს 50 მოკლული.

# უცხოეთი.

## გერმანიის სამხედრო დავლა.

ბერლინის გაზეთების ცნობებით ომის მეოთხე წელს გერმანიის ლაშქარს დარჩა შემდეგი დავლა: 7,000 ზარბაზანი, 24,600 ტყვიისმფრქვეველი, 751,972 თოფი, 2,867,500 ყუმბარა, 102,250,900 პატრონა, 2,000 მფრინავი აპარატი, 2,000 მისაბმელი ბურთი, 1,705 მოძრავი სამზარეულო, 3,000 ორთქლმავალი, 28,000 რკ. გზ. ვაგონი და 65,000 საბარგო ურემი. ომის მეოთხე წელს გერმანიის ლაშქრის მიერ წამოყვანილი ტყვეები რიცხვით 838,500 კაცს უდრის, ისე რომ მთელი ომის განმავლობაში წამოყვანილი ტყვეების რიცხვი 3 ნახ. მილიონს შეადგენს.

## კერენსკი.

რადგან კერენსკი პარიზიდან ლონდონში აპირებდა გამგზავრებას, ლიბერალმა ლამბერტმა შეკითხვა შეიტანა, რომელზედაც ლორდმა რობერტ სესილმა უპასუხა რომ კერენსკი ინგლისის მთავრობას ლონდონში არ მიუწვევია. იტერპელიატმა სხვათა შორის იკითხა, რამდენი წლისაა კერენსკი, სამხედრო სამსახურში გასაწვევია ის და გასინჯულია თუ არა სამხედრო ექიმების მიერ. ამაზე ლორდმა სესილმა განაცხადა, რომ მან არ იცის კერენსკის წლოვანობა, ხოლო წინანდელი რუსულ-ინგლისური ხელშეკრულების ძალით ყოფილი რუსი მინისტრ-პეზიდენტის სამხედრო სამსახურში გაწვევა შეუძლებლად მიაჩნია.

## ბაქო.

ი. რამიშვილი ბაქოში პირდაპირი მავთულით დაელაპარაკა აიოლს და ველენცს რომ ის იშუამდგომლებს გერმანიის მისიის წინაშე, რათა უსისხლოდ გადასწყდეს ბაქოს ბედი, თუ ასეთ შუამდგომლობას ისინი სასურველად დაინახავენ. უმანსკიმ უპასუხა ი. რამიშვილს რომ ეს ძლიერ სერიოზული საკითხია და გადაეცემა გადასაწყვეტად სამხედრო დიქტატორს და ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

— განჯიდან იტყობინებიან, რომ ნურიფაშა ისევ წავიდა ბაქოს ფრონტზე. ოსმალოს მთავრობა საიდუმლოთ ინახავს ბაქოს ამბებს.

— კერძო ცნობებით, ბაქოსთან განახლდა ბრძოლა ოსმალების, ადერბეიჯანლების და ბაქოს ჯარების შორის. აქსთაფით წავიდა არტილერიის ორი ეშელონი. ოსმალოებს მოაქვთ ბაქოში შორს მტყორცნელი ზარბაზნები, რომლებიც ხელთ იგდეს მათ ბაქოში.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**არჩევნები სოფლად.** კვირას, 25 აგვისტოს სოფ. ოფურჩხეთში და ფარცხანაყანევში საერობო არჩევნები მოხდა. არჩევნები უნდა მომხდარიყო 18 აგვისტოს, მაგრამ სოციალისტური პარტიების ძალდატანების გამო ჩაიშალა. 25 აგვისტოს არჩევნები წესიერათ მოხდა. სოფელ ოფურჩხეთში ეროვნულ დემოკრატებმა მიიღეს 174 ხმა, სოც. დემოკრატებისა და სოც. ფედერალისტების ბლოკმა მხოლოდ 6 ხმა. ს. რევოლუციონერებმა კი ვერც ერთი. სოფ. ფარცხანაყანევში ეროვნულ დემოკრატებმა მიიღეს 136 ხმა სოც. დემოკრატებისა და სოც. ფედერალისტების ბლოკმა 76 ხმა ს. რევოლუციონერებმა კი ვერც ერთი, ორივე სოფელში ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 310 ხმა და სოც. დემოკრატებისა და სოც. ფედერალისტების ბლოკმა კი 82 ხმა. აქედან ნათლად სჩანს თუ შეგნებული სოფლები ვის უცხადებს ნდობას და როგორ მარცხდება სოციალისტური პარტიები.

✦ **რას ჰგავს ეს.** სოფელ ფარცხანაყანევში 25 აგვისტოს არჩევნების დროს გამოირკვა, რომ სოციალისტური პარტიები გლეხობას იარაღით ემუქრება იმ შემთხვევაში თუ ხმებს მათ არ მისცემენ. გამოქვეყნდა აგრეთვე ერთი ამაშფოთებელი საბუთი. ქუთაისიდან მთავრობა ადგილობრივ კომისარს ოფიციალურად ატყობინებს, გააფრთხილოს გლეხები, რომ არც ერთ პარტიას არ მისცენ ხმა გარდა სოც. დემოკრატებისა და სოც. ფედერალისტებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოვალთ ზარბაზნებითა და ტყვიის მფრქვევლებით და ამოგჟლეტთო.

✦ **არჩევნები სამტრედიის რაიონში.** როგორც სამტრედიის რაიონიდან გვატყობინებენ არჩევნები უკანონოთ ჩატარდა. შეიარაღებული მილიციონერები ყუთებთან იდგენ და გლეხობას ტყვიებით ემუქრებოდენ თუ ხმებს სოც. დემოკრატების გარდა რომელიმე პარტიას მისცემდენ.

✦ **სოფ. მაღლაკი.** ამ სოფელში ყაჩაღობამ ფართე ხასიათი მიიღო. ღამე ისე არ გავა, რომ ვინმეს არ დაეცენ და არ გაძარცვონ.

✦ 25 აგვისტოს მაღლაკში უნდა მომხდარიყო საერობო არჩევნები, მაგრამ რაღაც „მახინაციების“ გამო არ შესდგა.

✦ **მოწაფე ქალი ალექსანდრა სტურუა** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას 25 აგვისტოს ბაღის გვერდით დაეკარგა შემდეგი საბუთები, 1) რკინის გზის სეზონის ბილეთი; 2) რკინის გზიდან მიცემული პიროვნების მოწმობა ორი სურათით და სასწავლებლის მოწმობები. მპოვნელს სთხოვს ეს ნივთები წარადგინოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში რისთვისაც ჯილდოს მიიღებს.

✦ **ჭიათურის სახალხო** ღარიბ სკოლის სასარგებლოდ გადაცვალებულის პარასკევა წოწონავას გვირგვინის ნაცვლად მისმა ქმარმა მიტრო წოწონავამ შესწირა 30 მანეთი, აკაკი და კირილე ჭავჭანიძეებმა 20 მანეთი, რის გამოც სკოლის გამგეობა შემომწირველთ უღრმეს მადლობას უძღვნის.

✦ წმ. ნინოს სასწავლებლის საოჯახო კომიტეტი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ხსენებულ სასწავლებლის ის მოსწავლენი, რომელნიც წარსულ 1917—1918 სამოსწავლო წლის ფულს არ შემოიტანენ მიმდინარე წლის 5 სექტემბრამდის (ახ. სტ.) გამორიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

✦ **ლტოლვილთა დამხმარე საგუბერნიო** კომიტეტმა დაადგინა, რომ გადააყენოს ლტოლვილთა დამხმარე გურიის კომიტეტის პრეზიდიუმი და მის ნაცვლად აირჩიოს ახალი. ამასთანავე იყოლიოს განსაკუთრებული რწმუნებული გადამწყვეტი ხმით. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ რომ სარევიზიო კომისიამ ხსენებული კომიტეტის მოქმედებაში ეჭვი შეიტანა. დასმული იყო საკითხი აგრეთვე იმის შესახებ რომ გურიის კომიტეტის წევრები პასუხის გებაში მიეცათ, მაგრამ კრებამ ეს საკითხა ჯერ-ჯერობით ვერ გაარჩია, რადგანაც გურიის კომიტეტს ჯერ საბუთები არ წარმოუდგენია.

# ეროვნულ საბჭოში

### 23 აგვისტოს სხდომა

### თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

### ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა ეროვნ. საბჭოში.

განსახილველია კანონპროექტი შესახებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა ეროვნულ საბჭოში. სამანდატო კომისიის მომხსენებელი კ. ქავთარაძე კითხულობს კანონ პროექტს, რომლის მიხედვით 1) ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელთა არჩევის უფლება უნდა მიეცეთ იმ ეროვნულ უმცირესობათ, რომელნიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობენ. სახელდობრ; სომხებს—10, აფხაზებს — 5, თათრებს —4, რუსებს—3, ოსებს—2, ებრაელებს—2, ბერძნებს—1, გერმანელებს — 1.

2) ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები მოწვეულ უნდა იქმნენ ამ ერების ეროვნულ საბჭოებიდან, ხოლო თუ ეს საბჭოები არ არსებობენ, წარმომადგენელს აირჩევს ამ ერის პოლიტიკური პარტიები ურთიერთშორის შეთანხმებით. თუ არც ეს შეიქნა შესაძლებელი, საბჭოს წევრის არჩევის უფლება მიეცამათ დემოკრატიულ დაწესებულებათ.

### აკაკი ფაღავა (ს. ფ.)

**კანონ პროექტი ეწინააღმდეგება მოქალაქეობის კანონს.**

ეს კანონ-პროექტი ეწინააღმდეგება ეროვნულ საბჭოს მიერ უკვე მიღებულ კანონს მოქალაქეობის შესახებ. ჩვენ ჯერ არ ვიცით თუ რამდენი ვინ არის საქართველოს მოქალაქე და რამდენია ამა თუ იმ ერის საქართველოს მოქალაქეთ, ეს საკითხი ჯერ პროცენტულად არ არის გამორკვეული.

მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ სომხებში არის მიმდინარეობა, რომელსაც განზრახული აქვს სომხეთის მოქალაქეობა მიიღოს და აქ დარჩეს. ეს მათი საქმეა, როგორც სურთ ისე მოეწყობიან, მაგრამ ჩვენ არ თუ შეგვიძლია სომხეთის მოქალაქენი, აქაც აღჭურვოთ მოქალაქეობის უფლებით და წარმომადგენლობაც მიეცეთ საქართველოს პარლამენტში.

### ეროვნული საბჭოები.

ჩვენი ფრაქცია ვერ დაეთანხმება ვერც კანონ-პროექტის მეორე მუხლს. ამ მუხლის ძალით წარმომადგენლებს ირჩევენ ეროვნული საბჭოები. ჩვენ ვიცით რომ, მაგალითად რუსულ ეროვნულ საბჭოს მინდობილი აქვს რუსეთის ელჩობა და შეუძლებელია, რომ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი იყოს წევრი ჩვენი საკანონმდებლო დაწესებებულებისა.

ყველა ამ მოსაზრების ძალით ჩვენს ფრაქციას შემოაქვს წინადადება, რომ ეს კანონ-პროექტი გადაეცეს განსახილველად სამანდატო და საკონსტიტუციო კომისიებს.

### ალ. ლორთქიფანიძის განცხადება

საკანონმდებლო ორგანოს წევრობა შეუძლია ხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, ამ მოსაზრებით, სოც.-დემოკრატიული ფრაქცია მომხრეა, რომ ეს კანონპროექტი დაუბრუნდეს კომისიას, მაგრამ მხოლოდ სამანდატო და არა საკონსტიტუციო კომისიას.

### კენჭის ყრა.

კენჭის ყრით, სოციალ-დემოკრატების ხმათა უმეტესობით კანონპროექტი გადაეცა განსახილველად მხოლოდ სამანდატო კომისიას, რათა მან ათი დღის განმავლობაში წარმოუდგინოს იგი ეროვნულ საბჭოს.

**ბორჯომის სახელმწიფო მამულის უწესო ექსპლოატაცია.**

განსახილველია გრიგოლ ვეშაპელის მიერ წარმოდგენილი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა ბორჯომის მამულების უწესო და უკანონო ექსპლოატაციის შესახებ. პირველი სიტყვა ეძლევა შეკითხვის ავტორს.

(დასასრული იქნება).

# დღეს.

**წერილები.**

მეთაური—შეცდომა უნდა გასწორდეს.

ი. ხ—შვილი—ეროვნული უმცირესობანი საქართველოს პარლამენტში.

—საპასუხო

Ł.—გაფიცვების გამო.

**ცნობები.**

კვირას ს. ოფურჩხეთში და ფარცხანაყანევში საერობო არჩევნები მოხდა. ოფურჩხეთში ერ. დემოკრატებმა მიიღეს 174 ხმა, ბლოკმა 6 ხმა, ფარცხანაყანევში ერ. დემოკრატებმა 136 ხმა, ბლოკმა კი 76 ხმა. ოსმალთა ასკერები ახალ ათონში თავს დაესხა წითელ გვარდიელებს.

---

ურიგდენ იმას, რომ საქართველოში პირველი სიტყვა ქართველ ერს ეკუთვნის.

ეს კი უთუოდ ჰგულისხმობს ორპირობისა და გამოუცდელობის იდეებს შორის გადატყორცნას! შესძლებენ ამას და თანაც საჯაროდაც განაცხადებენ, რომ ისინი საქართველოს სახელმწიფოს ქვეშევრდომნი მოქალაქენი არიან, ისინი შესძლებენ ჩვენთან ერთად პარლამენტში მუშაობასაც. გარეშე ამ პირობებისა, კითხვა ყოველთვის ღიად იქნება დატოვებული, რადგან ვერ გაგვიგია, როგორ შეუძლია ყოველ ვიგინდარას, დროებით ჩვენს რესპუბლიკაში შემოხიზნულთ და თავისთვის სრულიად რუსეთის, ან „სრულიად“ ჰაისტანის მოქალაქედ აღმსარებელს, ჩაებას ჩვენი სახელმწიფოს შენების პროცესში? ეს ხომ განუწყვეტელ კრიზისებს შექმნის საქართველოში, რასაც უკანასკნელის სრული განადგურება და განიავება მოჰყვება! ამასთანავე ერთი კითხვაც იმის? რას ფიქრობენ ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენელნი იმ ქართველების შესახებ, რომელთაც ბედმა მათი სარწმუნოების აღიარება არგუნა? ილაპარაკებენ თუ არა თათრები ქართველ მუსულმანთა სახელით, სომხები გრიგორიანებისა და ზოგი კათოლიკეთ სახელით ან ებრაელები ქართველ ისრაელთა სახელით. ერთხელაც არის, ხომ უნდა გამოირკვეს ეს „დაწყევლილად“ მიჩნეული კითხვა? აი აქ, ვგონებთ შეთანხმება გაძნელდება ქართველ ერსა და მასთან მცხოვრებ უმცირესობათა შორის, ამ კითხვაზე ჩვენ არც მთავრობის აზრი და შეხედულება არ ვიცით და ვიტყვით, რომ სანამ ეს არ გამოირკვევა, კითხვაც ვერ გადასწყდება. ჩვენი მთავრობა არ უნდა შეურიგდეს არა მართლმადიდებელ ქართველთა დაკარგვას. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კითხვაა და ამაზე უნდა შეჩერდეს არა თუ მთავრობა ან ეროვნული უმცირესობანი, არამედ თვით ეროვნული საბჭოც, რომელმაც თვისი სამანდატო კომისიის ყურადღება დროებით აქაც უნდა შეაჩეროს და თუ საჭირო იქნება ერთი კვირა კი არა, თვეებიც მისცეს კითხვის გამოსარკვევად.

თვარა, როცა ფაქტის წინაშე დავდგებით, მერმე გვიან იქნება და ქართველი ერის ხარჯზე გამრავლდებიან ანტისახელმწიფოებრივი მიმართულებით გაჟღენთილი ეროვნული უმცირესობანი.

მით უმეტეს, რომ ამ კითხვასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კითხვა, სკოლების ნაციონალიზაციისა, სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულებათა რაციონალურად დამყარება და ამ დაწესებულებებში ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოებრივი და კულტურული უფლებების დაცვა და აგრეთვე სხვა მრავალ მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი კითხვები.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ სწორი და ობიექტიური სახე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როდესაც საქართველო ეღირსება არა სუროგატს პარლამენტისას, არამედ ნამდვილ წარმომადგენლობით ორგანოს, როგორიც იქნება სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ დღევანდელი პოლიტიკურ ძალთა განწყობილება სრულიად არ შეეფერება იმ ძალთა განწყობილებას, ჩვენს დღევანდელ პარლამენტში, ეროვნულ საბჭოში რომ დამყარებულია.

ი. ხ—შვილი.

## საპასუხო.

ამას წინად სოციალ-დემოკრატების შესახებ ჩვენა ვსწერდით:

სოც.-დემოკრატების წარსული საქართველოში საქართველოს ვერაფერს კარგს ვერ ეტყვის და დღეს თუ სოც.-დემოკრატია ორმაგობს და საქართველოს ბედნიერებას. პირდება—ეს, ხომ ეროვნულ გრძნობის და სიყვარულის გამომხატველი მოქმედება არ არის:

ეს კომისრობის, და მინისტრობის აპეტიტის მაჩვენებელია. და დარწმუნებული ვართ, რომ როგორც სოც.-დემოკრატები გაძღებიან კომისრობით და მინისტრობით, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი მაშინათვე დავიწყებული იქნება: აბა ვის გაუგონია სოციალ-დემოკრატების სამშობლოსადმი სიყვარული და პატივისცემა?

ამის შესახებ ქუთაითური „სოციალ-დემოკრატი“ პირდაპირ პასუხის მოცემის მაგიერ, იმერულად რომ ვსთქვათ „მოგვდგა“ და ალახმა უწყის რით გაათავა.

იგი ასე გვიპასუხებს:

ნათქვამია, მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ასეა ნაც. დემოკრატების საქმე. ნამდვილი წრფელი გულით მათ სამშობლო არასოდეს არ ყვარებიათ, იგი ახსენდებოდათ მხოლოდ მაშინ, როცა წითელი ღვინით გაილეშებოდენ, ხოლო ისე კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე რუსის მოხელეთ ფეხქვეშ ეგებებოდენ და სამშობლოს ჩინ-ორდენებში ყიდდენ. ნაც.-დემოკრატები თვითონ არიან ნაჩვევი იდეიის პირადი ბედნიერებასთან შეთანხმებას. ბნელით მოცული სწორეთ, რომ ნაც.-დემოკრატების ისტორიაა. მათი დღევანდელი ლიდერი გერონტი ქიქოძე სოც.-ფედერალისტი იყო და ამავე დროს ჩუმათ „საქართველოს“ მეთაურებს უწერდა და ფულს იღებდა. ნამდვილი იდეური კაცი ამას არასოდეს არ იქს. ზატ. ვეშაპელმა, რომელმაც პირადი თავმოყვარეობისათვის ქართული გვარიც კი დაამახინჯა, მანამ იხეტიალა პარტიათა შორის, სანამ არ ნახა ისეთი პარტია, რომელმაც მას „დიდკაცობა“ არ მიანიჭა. დარწმუნებული ვართ, თუ მისმა პირადმა თავმოყვარეობამ და სარგებლიანობამ მოითხოვა მაშინ იგი ნაციონალ-დემოკრატებსაც დასტოვებს. თვით ბატონი ია ეკალაძე, „ჩვ. ქვეყნის“ დღევანდელი სულის ჩამდგმელი, რუმბთან უფრო ვაჟკაცია, ვინემ სამშობლოს დაცვის ინტერესების დროს. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელის როლში იგი არავის უნახავს, ხოლო პირველისაში —მოგეცათ სიცოცხლე. და აი, ასეთი ხალხი სოც. დემოკრატიას უწუნებს წარსულს. ამ უკანასკნელს კი, არასოდეს არ უღალატია თავის იდეიისთვის და იგი მას მტკიცეთ დაუცავს. სოც.-დემოკრატიის წარსული, მისი თავგანწირული ბრძოლა გვაძლევს იმედს, რომ ქართველი ხალხი დღევანდელ კრიზის გადაიტანს და ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამოვა“.

წითელი ღვინო და ჩინ-ორდენები, ეგ დრო-მოჭმული, მჭლე ამბავია, ჩვენ მასზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. ჩვენ და ჩვენთან ერთად ყველამ გაიგო, რომ ჩვენი სოციალისტები ამ შემთხვევაში თავისებური მანიით არიან შეპყრობილნი და ყველაფერს თავისებურ დასკვნებს უკეთებენ და თუ ვინმე გაიძვერა შენიშნეს, უეჭველად ეროვნულ დემოკრატათ უნდა მონათლონ. შემდეგ.

დიახ, თქვენთან ერთად ჩვენც ვამბობთ სოციალ-დემოკრატები ბევრსა ძვრებოდენ რუსეთის ქარხნებში, ბევრს ომობდენ იმ „რევოლუციონურ ფრონტზე“ რომელიც თფილისიდან იწყებოდა და ობუხოვისა ანდა პუტილოვის ქარხნებით თავდებოდა და დღესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს აცხადებს, როგორც იძულებით მოვლენას, ბევრ საზოდიშო წერილებსა სწერს ჩრდილოეთს, მაგრამ მასთან ერთად ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში რომ სოციალ-დემოკრატების წარსული საქართველოში საქართველოს ვერაფერს კარგს ვერ ეუბნება. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია საქართველოს სახელმწიფოსათვის მისი ეროვნული მონობისაგან განთავისუფლებისათვის არასოდეს არსად არ იბრძოდა და თუ ვინმეს ნახავდა აქ, ჩვენში ეროვნული იდეიისათვის ასე თუ ისე მებრძოლ მუშაკებს, ისინი გოლგოთაზე გაყავდა. ეს ფაქტია. ეს იცის საქართველომ. ამაზე თქვენ არავითარი პასუხი არ მოგვეცით და ყველაფერი ჩვენთან ერთად მომუშავე პირთა ლანძღვა—გინებაზე გადაიტანეთ. განა ეს ვისმესთვის ასე საინტერესოა? ჩვენ გვგონია, რომ არა. ხოლო თუ მაინცა და მაინც თქვენებურ ჯიუტობას დაიწყებთ და სერიოზულ საკითხებს ღვინოსა და რუმბთან მიიტანთ, მაშინ ამ შემთხვევაში ვინ უფრო კარგი ბიჭია კითხეთ ძეგველოვებს, კოჯორ-აბასთუმნის მთვარით განათებულ გზებს, მათზე მოსიარულე ავტომობილებს... და ბევრ სხვა ვინმეებს...

## გაფიცვების გამო

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ჩვენ, ჩვენ წარსულთან, იმ წარსულთან, რომელიც ასე თუ ისე ნაკლები კულტუროსნობით ხასიათდებოდა ყოველივე კავშირი შევსწყვიტეთ. მთელი ას ჩვიდმეტი წლის ცხოვრება, ეს საშინელი მახინჯი გზით სვლა იყო, რომელზედაც ტლანქი ჩრდილოელი ძალა მიგვერეკებოდა. ხოლო თუ ჩვენ ამ უკანასკნელ ოცდაათი წლის განმავლობაში ხელი მივყავით რაიმე მუშაობას ამ შემთხვევაშიც მეტ წილათ საზრდოს იძლეოდა ის ხალხი, რომელიც საქართველოს წარსულში „მარტოოდენ ბატონყმობისა და ფეოდალების ინსტიტუტებს ხედავდა.“

შეიძლება ერთ დროს მოძებნილიყო საქართველოში ისეთი კაცი, რომელიც იტანჯოდა, იწოდა თვისი ქვეყნის უბედობით და მოუწყობლობით. ხოლო ვერ შერიგებოდა რა მის ასეთ [...]ულირს მდგომარეობას, ყოფნას და ვერ წარმოედგინა მისი სახე თუ არა იდეალურათ მოწყობილი, შორეულ ესპანეთის გზას გადგომოდა და ახალი, იდეალურათ მოწყობილ იბერიის ძებნაში დაელია სული.

დღეს ჩვენში ასეთ რამეს ადგილი არა აქვს იმ ქართველში, რომელმაც ზემო აღნიშნული მახინჯი პერიოდი გაიარა ასეთი რამ არ აწუხებს. ჩვენში თითქოს დაიკარგა საქართველო, მისთვის ტანჯვა და მასზე ფიქრი. და ყოველივე ის, რაც დღეს ჩვენში ხდება, ეგ არის დანგრევა ერთ-ერთ სიცოცხლის დამწყებ საკაცობრიო ნაწილისა. სოციალისტური მთავრობა, ისე როგორც არსად და არასოდეს, ვერ ქმნის იმას, რასაც ეწოდება სახელმწიფოებრივი სიბრძნე. ეს უნდა ითქვას ნათლად და გარკვევით.

გადახედეთ საქართველოს დღევანდელ სახეს და თუ თქვენა ხართ მხილებული ამ სახის სახელმწიფოებრიობისა, თქვენი ტანჯვა შეიძლება დაუსრულებელი შეიქნეს.

მოუწყობელია ფინანსები და მძიმე ვალებში იხრჩობა ეროვნული ძალა; წყალწაღებულია ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა და თავგასულობის წინაშე ქედს იხრის ეროვნული თავმოყვარეობა; მაჯა შეჩერებულია, სასამართლო და ქართველის ნება ათას გახულიგანებულ კომისართა თვითნებობით იბორკება, ქართველის სიცოცხლე განებივრებულ მილიციონერთა თავგასულობას ეწირება.

მაგრამ პროცესი საქართველოს ნგრევისა ამით არ ივსება, ამით არ იფარგლება. ზემო დასახელებულ უბედურებათ დღეს ახალი კიდევ ზედ ემატება. ამ საერთო გაჭირვების დროს გაფიცვები იწყება. სახალხო მასწავლებელთა კრებაზე ისეთი ორატორიც კი გამოვიდა, რომელიც ყველა იქ დამსწრეთ საერთო გაფიცვებისაკენ მოუწოდებდა. ტყიბულის მაღაროებში მომუშავენი უკვე გაფიცულან. ხოლო ეს უკანასკნელი რას მოასწავებს ყველასათვის ცხადია. ადვილი შესაძლებელია ამ გარემოებამ შეაჩეროს ჩვენი რკინის გზის მუშაობა, გამოახურინოს კარები ფოსტა-ტელეგრაფის მოძრაობას და მით განსაცდელში ჩააგდოს ისედაც უფსკრულის პირას მდგომი ნორჩი რესპუბლიკა. და განა ეგ არის შეგნება სოციალური ბრძოლისა? არა და არა. ეს არის ნგრევა, ანარქია, შეუგნებლობა საკუთარი მოვალეობისა. ეს არის კრახი კოლექტივიზმისა და თავგასულობა პროფესიონალ-კომიტეტელთა. სოციალიზმამდი, აქედან ძალიან დიდი მანძილია.

ჩვენს ქვეყანას ახალი განსაცდელი უმზადდება, სადაც უნდოდა ქართველმა არიომა. სადაც საჭიროა ჩვენ არ ვმუშაობთ. ჩვენ არ ვთხრით ნახშირს. და თუ ყველაფერი ეს გამართლდა და ასე გაგრძელდა, შეიძლება მალე ყველაფერი დადგეს და გამეფებული წყვდიადი მსხვერპლთა უხმო კვნესამ დაარღვიოს.

შეიძლება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებმა და ათასმა სარევოლუციო კომიტეტებმა იმ ტვირთ-მძიმეთა სახელით, რომელსაც ყველაზე უფრო დაატყდება თავს ეს საერთო სახელმწიფოებრივი შიმშილი, ამის შესახებ თავისებური რეზოლუცია გამოიტანოს და ტაშის კვრით მიეგებოს იმ სოლიდარობას, რომელსაც ამ გაფიცვებში მუშები გამოიჩენენ, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ დროა „შემთხვევით გამვლელ გმირების თაყვანისცემას, წარმავალ და უღდგო დოქტრინების აღიარებას, უშინაარსო და უსიცოცხლო ფორმულების დაცვას“ თავი ვანებოთ და ყოველივე მოვლენებს ანგარიში გაუწიოთ.

გაფიცვები დღეს, ამ საერთო ტანჯვის დღეს, ეს მეტი რომ არა ვსთქვათ მოღალატეობაა ერისა და სახელმწიფოს წინაშე. იგი უარყოფილ უნდა იქნას.

ამბობენ მედგარი, ბრძანების გამომხატველი ყვირილი ისტორიულ მსვლელობას აჩერებსო. საჭიროა ასეთი ყვირილი ვისგანაც ჯერ არს, რომ დამღუპველ ნაბიჯების დგმა სამუდამოთ შეჩერდეს.

Ł.

---

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

სამხედრო სხდომაზე საგარეო მინისტრის მოხსენებით დაადგინეს:

1) დაევალოს სამხედრო მინისტრს დაუყონებლივ გაგზავნოს ჯარი ახალთუმანსა და ახუურში გერმანელ ჯართან ერთად იმ ადგილების დასაჭერად, რომლებიც ხელშეკრულობის ძალით საქართველოს ფარგლებში დარჩა.

2) ადერბეიჯანის მთავრობას გადაეცეს მაჰმადიანთა კორპუსის ქონება, უკანასკნელის აღნუსხვით და შესაფერ ოქმით.

— მიწადმოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა დაევალოს ფინანსთა სამინისტროს დაუბრკოლებრივ

## ბ. კაპანელის ლექცია.

(წერილი ხონიდან.)

25 აგვისტოს ქალაქ ხონში, ლიტერატორმა ბ. კ. კაპანელმა ლექცია წაიკითხა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „სოციალისტების ბუდე“ ხონში ისეთი შინაარსიანი როგორიც ბ. კაპანელის ლექცია იყო, დიდი ხანია არ მოგვისმენია.

ლექტორს თემათ აღებული ჰქონდა: — „სოციალიზმი და ეროვნული დემოკრატია.“

იგი დალაგებით და გარკვევით შეეხო მარქსის სოციალიზმს, კლასთა ბრძოლას, მოიყვანა სიტყვები გამოჩენილი სოციალისტებისა შესახებ იმისა, რომ სოციალისტისათვის მიუტოვებელი ცოდვაა მთავრობას თავში ჩაუდგეს და მეცნიერულად დაამტკიცა, რომ სოციალიზმი ეს მხოლოდ განუხორციელებელი რამ ოცნება-იდეალი არის, რასაც კაცობრიობა დასაბამიდან ოცნებობდა, მაგრამ ვერ განხორციელდა და ვერ განხორციელდება მომავალშიდაც. ამას, ლექტორის აზრით, ამტკიცებს ის ფაქტებიც რომ ევროპის განათლებულ სახელმწიფოებმა უარყვეს სოციალისტობა და დაადგენ იმ ჭეშმარიტ გზას, რომელსაც შეუძლია შექმნას სახელმწიფოებრივი მთლიანობა და გააძლიეროს იგი.

ბ. ლექტორი დაწვრილებით შეეხო ჩვენებური პარტიების და კერძოთ სოციალისტური პარტიების მოქმედებას, მათ უკუღმართულ პოლიტიკას, რის წყალობითაც ქართველ ერს კლასებათ რაზმავენ და უარყოფენ ეროვნულ შემოქმედებითი პოლიტიკას და ეროვნულ ინდივიდუალობას.

თუ არსებობს კლასები მათ შორის შეთანხმება უნდა აუცილებლათ იყოსო, — სთქვა ლექტორმა, — ასე არის ევროპაში, ასე ხდება საფრანგეთში და გერმანეთში, იქ პროლეტარი და ბურჟუა გლეხი და მემამულე ჯერ გერმანელი, ფრანგი არის და შემდეგ წევრი ამა თუ იმ კლასისა. ისინი ხელიხელჩაკიდებული არიან და თავის ეროვნული სახის დასაცავათ ებრძვის მოპირდაპირე სახელმწიფოს პროლეტარიატს თუ ბურჟუაზიას. და ასე რომ არ იყოს ხსენებული სახელმწიფოები განადგურდებოდენ, რომ გერმანელი ჯარის კაცი ქართველი ჯარის კაცივით გაიძახოდეს: — „მე სამშობლო არა მაქვს და რისთვის ვიბრძოლოო“ ხსენებულ სახელმწიფოებსაც ის დაემართებოდათ რაც დაემართა საქართველოს ბათომის დაცემით.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ხონის საზოგადოება „სოციალისტობას“, მაგრამ სოციალიზმის მიუდგომელად განმარტება დახასიათებამ დამსწრე საზოგადოების უმეტესი ნაწილი ჩააფიქრა და ლექტორს თანაგრძნობით შეხვდენ, გარდა რამდენიმე ყმაწვილისა, რომელნიც უკვე შეპყრობილნი არიან პარტიული ფანატიზმით და რაც უნდა უმტკიცოთ ვერ დაარწმუნებთ, რომ დღით სინათლეა და ღამით კიდევ ბნელა.

შემდეგ ბ ლექტორი გადავიდა ეროვნულ დემოკრატიულ მიმდინარეობაზე, აღნიშნა რომ საქართველოში მხოლოდ ეს ერთი პარტია არის სახელმწიფოებრივი, რომელიც მიილტვის ეროვნული გზით და ცდილობს კლასთა შორის ჩამოაგდოს შეთანხმება და შეერთებული ძალით შეუდგეს სახელმწიფოებრივი მთლიანობის განმტკიცებას.

ლექციის დასასრულ ლექტორი საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

მოკამათეთ არავინ არ გამოსულა. მხოლოდ „ბლოკისტებიდან“ გამოვიდა ვილაცა გალეშილი, რომელმაც განაცხადა რომ მას სურს ლექტორს შეკითხვა მისცეს, მაგრამ შეკითხვის ნაცვლად წამოისროლა უაზრობა. შემდეგ დაიბნა და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა: ეტყობა ქ. ხონში სოციალისტებს „დიდი“ „ძალა ჰქონიათ“.

ლექციამ საერთოდ მსმენელ საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. კარგი იქნება რომ ასეთი ლექტორები ხონს ხშირად ეწვეოდენ, რომელნიც შესძლებენ ხონის საზოგადოება დაიხსნას იმ უკუღმართ მიმდინარეობათაგან, რომელსაც ამ ჟამად ძალა უნებურად ისინი ადგანან.

ს. ხონელი.

## შავი-ქვის მრეწველთა და შავქვიანი მამულების მეპატრონეთა საყურადღებოდ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მოკლე ხანში გამოსცემს მადნეულობის, მათ შორის შავი-ქვის (მარგანეცის) ნაციონალიზაციის კანონს, რომლის ძალითაც მადნეულება ჩამოერთმევა მეპატრონეებს და შეიქმნება სახელმწიფოს საკუთრებად.

მის შემდეგ როდესაც მოხსენებული კანონი გამოვა და ნაციონალიზაცია განხორციელდება, ჩვენი შავი-ქვის მადნებიც გადავა ჩვენი მთავრობის ხელში და ამ მადნების დამუშავება და საზოგადოდ ექსპლოატაცია იქნება დამოკიდებული მთავრობაზე.

იქვს გარეშეა ის, რომ ნაციონალიზაციის შემდგომ მთავრობამ ჩვენი შავიქვის მრეწველობა დასტოვოს წინანდებურად დაქსაქსულ დაკუწმაწებულ მდგომარეობაში და არ მიიღოს ზომები შესახებ იმისა, რომ ეს მრეწველობა, რომელიც შეადგენს ჩვენი ქვეყნის ერთად-ერთს სიმდიდრეს, არ მოეწყოს ისეთ ნიადაგზე, როგორც მას შეესაბამება და არ გადაიქცეს ჩვენი სახელმწიფოს თვალსაჩინო წყაროდ.

და რომ ეს ასე მოეწყოს მთავრობა მიუცილებლად ეცდება ეს მრეწველობა მოათავსოს მსხვილ მრეწველების ხელში, რომელთაც ცოდნითაც, ტეხნიკურად და კაპიტალითაც შეეძლებათ ამ მრეწველობის გამაგრება და განვითარება. მაშასადამე, აქედანვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამის შემდგომ ჩვენი ადგილობრივი მრეწველები იძულებულნი შეიქმნებიან განშორდენ ამ მრეწველობას და ადგილი დაუთმონ მსხვილ მრეწველ-კაპიტალისტებს.

ეს რომ ასე არ მოხდეს და რომ ჩვენმა ადგილობრივმა მრეწველებმა და მემამულეებმა მომავალშიდაც შეინარჩუნონ არსებობა, ჩვენმა მრეწველებმა საჭიროდ სცნეს შეერთდნენ, შეკავშირდნენ სააქციონერო საზოგადოების სახით და მით შექმნან ერთი ძლიერი ერთეული, რომელსაც ჩვენი მთავრობა, მიუცილებლად, ანგარიშს გაუწევს.

მოხსენებული სააქციონერო საზოგადოების მოსაწყობად არის არჩეული საორგანიზაციო კომისია, რომელიც მუშაობს თფილისში და ჭიათურაში, და თავის წმინდა მოვალეობად სთვლის ყოველივე ეს აცნობოს შავი-ქვის მრეწველთ და მემამულეებს და გააფრთხილოს იგინი, რომ ვინც მომავალ ენკენისთვის პირველ რიცხვამდის არ განაცხადებს ამ კომისიაში თავის სურვილს მოხსენებულ საზოგადოებაში შესვლაზედ, და ამ სურვილს იგი არ დაასაბუთებს ნატარიალური ხელწერილით, იგინი საზოგადოების გარეშე დარჩებიან.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების საორგანიზაციო კომისია.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

ს. ქ.

## სამეგრელო.

**ზუგდიდიდან.**

დიდი ღვაწლი მიუძღვის მთავრობის ჯარს საქართველოს განაპირა კუთხეებში ანარქიის ჩაქრობის საქმეში.

როგორც ვთქვით მთავრობის ჯარი ენერგიულ ზომებს ღებულობს, რომ ანარქია როგორმე ჩააქროს და მშვიდობიანობა დაამყაროს, მაგრამ ამ მხრით გამონაკლის შეადგენს ქალაქი ზუგდიდი და მისი მიდამოები.

ეს ქალაქი სამეგრელოში ერთად ერთი საუკეთესო ისტორიული კუთხეა რომლის მკვიდრნი გაბოლშევიკებული ბრბოს მეოხებით უკიდურეს პირობებში იმყოფებიან. თვეზე მეტია, რაც საცოდავი ქალაქი ჩამწყვდეულია მეამბოხეთა რკალში, მოწყვეტილია ქვეყნიერებას. დღე და ღამე განუწყვეტელი თოფ-ყუმბარების სროლა სწარმოებს, ნერვები აშლილია, ქალი და კაცი თხრილებში იხრჩობა და შიმშილით იხოცებიან. ქალაქში სოფლებიდან არავითარი სურსათ-სანოვაგე აღარ შემოაქვთ, რის გამოც დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. ლტოლვილები შესჩერებიან მთავრობის ჯარს, რომელიც დაბანაკებულია სენაკში, ფიქრობენ დღეს ანუ ხვალ მოგვეშველებიანო მაგრამ იმედები იმედებათ რჩება.

საკმაოა ერთ დღეს ღლონტის რაზმი იერიშზე გადავიდეს პოლკ. სრესელის დახმარებით, რომ ზუგდიდის მიდამოები ბოლშევიკებისაგან სამუდამოთ განთავისუფლდეს. მაგრამ ამისათვის საჭიროა მთავრობის განკარგულება, რომელსაც მოკლებულია ზუგდიდი. მთავრობა ბოლშევიკებთან შეთანხმების პოლიტიკას ადგია, მაგრამ მიუხედავად მოლაპარაკების წარმოებისა, მეამბოხეთა ბრბო ამავე დროს იკრეფს ძალას და მიდის ერიშით მშვიდობიან მოქალაქეთა დასარბევათ და ამოსაჟლეტათ. მთავრობის ჯარი შეჩერებულია, შეიძლება მთავრობამ არც კი იცოდეს ამბები და საჭიროა ყურადღება მიექცეს.

თუ არის ქვეყნად სამართალი, კაცთ მოყვარეობა, და შებრალება, რომლის უმისოთ წარმოუდგენელია კაცობრიობის არსებობა, საჭიროა დღესვე იქნეს მიღებული მთავრობისაგან ზომები, რომ ჯარი მიაშველოს ზუგდიდს, უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში აუტანელი სეტყვა ჭექა-ქუხილისა და ცუდი ამინდების გამო არ ვიცით რა დაემართა იმედ დაკარგულ ხალხს: დახოცილი არიან ავაზაკის ხელიდან, ისევ ცოცხალნი არიან.

გარემოება დაყოვნებას ვერ აიტანს. მთავრობამ სწრაფი ზომები უნდა მიიღოს და ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევაზე უნდა გადავიდეს, თორემ მცარცველებთან მოლაპარაკება და საქმის დაჭერა ყოვლად შეუძლებელია.

ს. ქ.

ვსთხოვ სხვა გაზეთებთა რედაქციებს ამ წერილს ადგილი დაუთმონ.

ს. ქ.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ცუცხვათი.** (ოკრიბა) სადაც არ უნდა გაიარო დღეს აქაურ სოფლებში თვალ წინ წარმოგიდგება ყოველ პიროვნების სახეზე საშინელი უიმედობა, და შიში, რაღაც გაუბედაობა რაღაც სიძულვილი. და რომ გამოკითხოთ მიზეზი ამისი, გეტყვით დაგვღუპეს, დაგვაქციეს სინათლის მაგიორ სიბნელე მოგვიტანესო, სურსათის საქმე ისე მოაწყვეს რომ დღეს საყიდლათ ჩვენ მეზობლებთან ვეღარ ვშოვობთ, ვინაიდან სიმინდების ხან მთავრობის ხან ადგილობრივ კომისრების და ხან კიდევ მილიციონერების განკარგულებითაც კი ჩამორთმევა იწყეს და თვით სიმინდის მქონეთაც თავიანთი ნამუშევარი მოსაპარავათ გაუხდა, ამის გამო სიმინდი გაქრაო. აქ გლეხის ნათქვამი გადაჭარბებულია. სიმინდის ჩამორთმევას ერთხელ ქონდა მხოლოდ ადგილი, მართალია სასტიკი ფორმით, მაგრამ გლეხის ნათქვამიდან სჩანს ის რომ ყველა როგორც მოეპრიანება ისე ახდენს განკარგულებას.

როდესაც გლეხებს ამ რეკვიზიციის გამო გუბერნიის კომისართან ალეძრათ საჩივარი მას ეთქვა, რომ მე ეს ვიციო და შედეგიც არაფერი ყოფილა.

დღეს მრავალი გლეხი დამრწის და სიმინდს დაეძებს, უცდის „ოჩერედს“ — და „ოჩერედს“ რომელიც რუსეთის რევოლუციამ პრაქტიკულათ ისე განავითარა, რომ თითქმის ხელოვნების ხარისხამდი აალწია და შეიძლება ითქვას, რომ კუდში დგომის [illegible] დარჩეს [illegible] წვეულია უსურსათობისაგან, და შეუსაბამო პირთა [illegible] იწვევს მთავრობაზე ჩივილს [illegible] დობლობას. სოფლებში უკვე დაწყებითი შიმშილობას ბევრ რამეთის მიყავს ხალხი:

ვინც მიაქცევს ყურადღებას, შეამჩნევს ერთ საშინელ მოვლენას: მართვა გამგეობა თითქოს იმიტომ იყვეს, რომ არაფერი გააკეთო და მიტინგები მართო.

ეხლანდელ გაბატონებულ პარტიას რომ კითხო, გიპასუხებს და მწამს რომ ყველაფერი კეთილად მოწყობილია, ყველაფერი კარგათ მიმდინარეობს, მაგრამ რა დარჩენიათ მეტი თუ არა სიტყვების რახარუხი.

მთავრობის უმოქმედობით სოფელი და მთელი გლეხობა დღეს მივიწყებულია. მათ დავიწყებული აქვთ თავიანთი მოვალეობა მთავრობისადმი ან მეტად გამოურკვეველ პირობებში იმყოფებიან.

ერობის შესახებ აქ ცოტა რამე გაუგონიათ და არჩევნები როდის იქნება არ იციან და არც ნატრობენ მაინდამაინც. ეს კი ცხადია, რომ თუ რომ თავისუფალი არჩევნები იქნა და არა ძალდატანებითი ეროვნულ-დემოკრატიული ინტერესებით გამსჭვალულია ხალხი და თუ შეძლება ექნა ხმასაც მას მისცემს.

პ. გ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!** უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა უძღვნათ იმ პირთ, რომლებმაც თავიანთი წვლილი გამოიღეს და თედორე კარტოზიას საშუალება მისცეს გარდაცვალებული თავისი მეუღლე დაეკრძალა. დიდი მადლობის ღირსია ანტონ ციბაძე, რომელმაც შემოწირულება შეკრიბა. აგრეთვე დიდ მადლობას ვუძღვნით მღვდელს გიორგი მუსერიძეს და მის მედავითნეს, რომელთაც მიცვალებულის სამსახური თავიანთი მოვალეობის მიხედვით უსასყიდლოთ შეასრულეს.

**დამსწრე.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

თბილისიდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. | |
| საფოსტო | — 3 | დილის | 8 | — | 30 — |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 8 | — | 10 — |

**ფოთ ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო | № 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო | — 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 8 საათ. | და 15 წ. |

**ქუთაისიდან გადის.**

თფილისისაკენ.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი | № 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო | — 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ-ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო | — 23 | საღამოს | 6 | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო | № 4 | დღის | 4 საათ. | — — |

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.